პირველი მატჩის სიძნელეები

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 7 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ზარია” (ვოროშილოვგრადი) 5:3 (1:0, 1:1, 11–მეტრიანები – 4:2).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ყიფვიანი, გუცაევი (პეტრიაშვილი), გ. ნოდია, ლ. ნოდია.

“ზარია”: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, აბრამოვი, ვასენინი, ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, ბელოუსოვი, ელისეევი, კუკსოვი, ონიშჩენკო.

მსაჯი: პ. სააკოვი (მოსკოვი).

გაფრთხილება მიიღეს ჟურავლიოვმა და გ. ნოდიამ.

ვოროშილოვგრადის “ზარიას” შარშანდელი ჩეპიონობა, უდავოდ, იყო სენსაცია, რომლის მსგავსი არ გვახსოვს საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში. გუნდი 1967 წელს გამოჩნდა უმაღლეს ლიგაში, დაიწყო დებიუტანტისთვის შესაფერისი, მოკრძალებული XVI ადგილით, მერე მეთოდურად აუმჯობესა თავისი შედეგები და მეექვსე წელს ჩემპიონობას მიაღწია. უპრეცენდენტო ამბავია!

“ზარიას” გარშემო ატყდა პოლემიკა. ახალ ჩემპიონს თავის რიგებში არ ჰყავდა ვარსკვლავები, ექსტრაკლასის ოსტატები. ამიტომ მიმომხილველები სხვადასხვაგვარ არგუმენტს ეძებდნენ, რომ აეხსნათ გუნდის ეს არნახული წარმატება, დაესაბუთებინათ მისი გამარჯვება საკავშირო პირველობაში. ბოლოს ყველა იმ საერთო დასკვნამდე მიდიოდა, რომ “ზარიამ” ჩემპიონობას მიაღწია უდიდესი შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, ენერგიის, უზარმაზარი დატვირთვის, ნებისყოფისა და სხვა ამგვარი თვისებების მაქსიმალური გამოვლენის წყალობით.

სხვა ახსნა ვერავინ მოძებნა და, ფაქტიურად, არც შეიძლებოდა მოეძებნა. როცა გუნდს არა ჰყავს მაღალი კლასის მოთამაშეები, არა ჰყავს ვარსკვლავები, თვითონ უნდა იქცეს ვარსკვლავად, ოქროს მედალს რომ მიაღწიოს.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, თბილისელ მაყურებელს არ მოსწონს ასეთი გუნდები. ჩვენ გვიყვარს ნათლად გამოკვეთილი ტალანტები, საუკეთესო ინდივიდუალური მონაცემების მქონე ტექნიკური ფეხბურთელები, პრემიერები. აბა, რა თამაშია, სადაც ერთ ლამაზ დრიბლინგს, ფინტს ან სოლურ ტრიუკსაც ვერ ნახავ და გულს ვერ მოიოხებ ბრაზილიური ტიპის იმპროვიზაციებით?

მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა. მისი პრაქტიციზმი, ურთულესი ტაქტიკური სქემები და მოთამაშეთა რაციონალური განლაგებანი შეხამებული უდიდეს ბრძოლისუნარიანობასთან, შრომატევად სამუშაოსთან, კოლექტიურ მოქმედებასთან ბევრ რამეს იძლევა და, თურმე, ჩემპიონობასაც კი.

გასული შაბათის მატჩს 35 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, ხოლო ტელევიზიით იგი ასეულ ათასობით ადამიანმა ნახა და არა გვგონია ვინმემ თქვას “ზარია” უხეირო გუნდი და შემთხვევითი ჩემპიონიაო. შეიძლება, არ მოგეწონოს მისი თამაშის სტილი, უეფექტო და გარეგნულ სილამაზეს მოკლებული, მაგრამ კოლექტივი რომ ძალიან ძლიერი, ენერგიული, მონოლითური და მებრძოლია, ამაში ყველა დარწმუნდა. მეტსაც ვიტყვით: ახალმა კანონმა, რომელიც ფრეს კრძალავს, აშკარად დაჩაგრა ჩემპიონი – ქულის აღების ღირსი იგი ნამდვილად იყო.

მაგრამ ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა თამაში, მე–15 წუთზე გუცაევი რომ არ დაშავებულიყო და მინდვრიდან არ გასულიყო. დინამოელები მანამდე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა თასის მატჩში დაკარგეს შუა ხაზის წამყვანი მოთამაშე ასათიანი. შეცვლა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომელიც არ დაარღვევდა გუნდის ჩვეულ სტილს, მის შემტევ პოტენციალს. დინამოელთა უფროსმა მწვრთნელმა ა. კოტრიკაძემ საინტერესო ვარიანტს მიაგნო იმით, რომ ყიფიანი შუა ნახევარმცველად დააყენა ასათიანის ნაცვლად და მისი ფუნქციების შესრულება დაავალა. საიერიშო ძალა კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა კიდეც. პირველ 15 წუთში თბილისელები გაშლილი ფრონტით თამაშობდნენ. გუცაევმა რამდენიმეჯერ შეძლო ფლანგზე გასვლა, შეტევაში ყიფიანის გარდა მაჩაიძეც აქტიურად მონაწილეობდა, თამაში მაღალ ტემპში, ცოცხლად, საინტერესოდ მიმდინარეობდა.

მაგრამ აი, გუცაევის წინააღმდეგ სტუმრებმა აშკარად განზრახ უხეშად ითამაშეს და, სასწრაფო საექიმო დახმარების მიუხედავად, იგი იძულებული იყო მინდორი დაეტოვებინა. მის ნაცვლად შემოსულმა პეტრიაშვილმა ადგილი მინდვრის შუაგულში დაიკავა, ყიფიანი გადავიდა მარჯვენა ფრთაზე და ის საერთო გეგმა, რომელიც გუნდს ჰქონდა დასახული, მთლიანად შეიცვალა.

ვოროშილოვგრადელები მთლიანად დაეპატრონნენ შუა მინდორს, დიდი ხნით იგდეს ხელთ ინიციატივა და მასპინძლები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აქ გამოჩნდა სწორედ “ზარიას” მოთამაშეების ნებისყოფა და საბრძოლო თვისებები. ისინი მთელი დარჩენილი დროის მანძილზე შეუსვენებლად, დაუღალავად შრომობდნენ, ძალას არ ზოგავდნენ წარმატების მისაღწევად.

აქ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი გუნდის დაცვის ბრწყინვალე თამაში. ეს მატჩი რომ არ წავაგეთ, უპირველესად დამსახურებაა ხურცილავასი, ჭელიძისა და ებრალიძისა. ეს სამეული იბრძოდა შესანიშნავად, ვაჟკაცურად, დიდი ოსტატობით პოულობდა გამოსავალს უმძიმეს მომენტებში. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ნახევარდაცვის ხაზზე, რომელმაც დაკარგა თავისი სახე და ვერ დააკავშირა საკუთარი დაცვის რგოლი თავდასხმასთან. უკიდურესად სუსტი იყო თავდასხმის ხაზი, სადაც ორივე ფლანგი უმოქმედოდ იდგა, ხოლო გ. ნოდია პარტნიორებისგან იზოლირებული აღმოჩნდა.

შემთხვევით არაა, რომ დინამოელებმა ანგარიში გახსნეს მატჩის დასაწყისში, მე–18 წუთზე, როცა მათ უპირატესობა ეპყრათ. საჯარიმო გათამაშების შემდეგ ბურთი მარცხენა ფრთიდან ცენტრში დაბრუნდა, აქ იგი ფეხებს შუა გაატარა გავაშელმა და მაჩაიძემ დაახლოებით 20 მეტრის მანძილიდან ზუსტი, დამიზნული დარტყმით აიძულა ტკაჩენკო ამაო ნახტომი გაეკეთებინა.

ძალიან ჰგავდა ამ გოლს კუზნეცოვის საპასუხო ბურთი 62–ე წუთზე, იმ განსხვავებით, რომ იგი საჯარიმო დარტყმით იქნა გატანილი. მასპინძლებმა კარგად ვერ აღმართეს კედელი და კუზნეცოვმა იმავე შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი.

არ შევუდგებით შემდგომ მომხდარი ამბების აღწერას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ბოლო 20 წუთში თბილისელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა და გაათანაბრეს თამაში. აქ უკვე აღარ შეიძლებოდა პასიურობა, ვინაიდან გოლის გაშვების შემთხვევაში წაგება თითქმის გარდაუვალი იყო და გუნდმა, როგორც იქნა, შეძლო კონტრთამაშის შექმნა.

განვლო 90 წუთმა, მატჩი კი არ დამთავრდა – 1:1. პ. კაზაკოვმა, ახალი წესების შესაბამისად, მინდვრის ცენტრში მოუხმო გუნდების კაპიტნებს და კენჭი ყარა პენალტების გასათამაშებლად.

ბოლო წლების პრაქტიკა მეტყველებდა, რომ ჩვენს გუნდს არა ჰყავს პენალტისტები და ამიტომ, ცოტა არ იყოს, შიშით ველოდით 11–მეტრიანების სერიას. მაგრამ სასიამოვნო სინამდვილემ სულ სხვა რამ გვაჩვენა. ხურცილავამ, ჭელიძემ, ყიფიანმა და ებრალიძემ ბრწყინვალედ დაარტყეს პენალტები, რითაც დამაჯერებლად უზრუნველყვეს თავიანთი გუნდის გამარჯვება. მხოლოდ ძოძუაშვილის ბურთის აღება შეძლო ტკაჩენკომ, მაგრამ ამ დროისთვის თამაში უკვე მოგებული გვქონდა. თავი გამოიჩინა გოგიამ, რომელმაც შეძლო კუკსოვისა და ჟურავლიოვის დარტყმების აღება, ელისეევმა კარს ააცდინა ბურთი და მხოლოდ კუზნეცოვისა და აბრამოვის დარტყმებმა მიაღწია მიზანს.

საერთო ანგარიშით 5:3 გამარჯვება ხვდა ჩვენს გუნდს, რომელმაც ჩემპიონთან ძალიან ძნელ მატჩში შეძლო ქულის აღება.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 10 აპრილი, 1973 წ.